



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლაკურ-დარგული ენები

ლაკურ-დარგული ენები, იბერიულ-კავკასიურ ენათა დაღესტნური ჯგუფის ერთ-ერთი ქვეჯგუფი. შედის ლაკური და დარგული (კუბანური) ენები. ლ.-დ. ე. ერთგვარად გარდამავალია დაღესტნის ენათა 2 დანარჩენი ქვეჯგუფის – ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ და ლეზგიურ ენათა შორის. ლეზგიური ენებიდან ლ.-დ. ე-თან ყველაზე ახლოსაა თაბასარანული ენა. ლ.-დ. ე-თვის დამახასიათებელია ხშულთა ოთხეულებრივი (მჟღერი, ფშვინვიერი, აბრუპტივი, ინტენსიური) და სპირანტთა სამეულებრივი (მჟღერი, ყრუ, ინტენსიური) სისტემა, უკანაენისმიერთა პალატალიზაცია (მათი შეცვლა შიშინა რეფლექსებით) და თანხმოვანთა ცვლის ზოგი სხვა ტენდენცია, ზმნის კლასოვან-პიროვანი უღლება. ლაკურში დიალექტები ნაკლებად გამოიყოფა (გარჩეულია კილოკავები), ხოლო დარგულში ძლიერი დიფერენციაციაა. ლაკურიც და დარგულიც ახ. სამწერლობო ენებია.

ლიტ.: გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი შ., ბგერათშესატყვისობებისათვის დარგულსა და ლაკურში, «იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება», 1954, ტ. 6; ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ა. ენათმეცნიერების შესავალი, თბ, 1952.

ი. ცერცვაძე

ა. მაჭომეტოვი
